



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მსრუტი თვის აღმოსილვა

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	10
ფულადი ბაზარი.....	13
მონეტარული აგრეგატები.....	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია


თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა, ხოლო იანვართან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.2%-ით მოიმადა. გასული წლის მეორე კვარტლიდან სამიზნე 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი ინფლაცია ძირითადად სურსათით არის გამოწვეული, რაც თავის მხრივ მეცნილად საბაზო ეფექტსა და ეგზოგენურ ფაქტორებს უკავშირდება. კერძოდ, გასული წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე¹ სურსათზე ფასების მატება, ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, სურსათის ინფლაციას დამატებით ზრდიდა.

აღსანიშნავია, რომ საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან სურსათის, ენერგომაცარებლების და თამბაქოს ფასებს გამოირიცხავს, 3%-იან მაჩვენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება და თებერვლის მდგომარეობით 2.4% შეადგინა. თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს გაზრდილი ფასისა და ქალაქის შიგნით ავტობუსით მგზავრობის გაძვირებამ, საბაზო ინფლაცია მცირედით დააჩქარა. რაც შეეხება მომსახურების ინფლაციას, თებერვლის მდგომარეობით 3.1%-ს შეადგენს. საბაზო და მომსახურების ინფლაციის მიზნობრივ დონესთან ახლოს შენარჩუნება გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის მანიშნებელია.

თვის ინფლაცია 0.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.6% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

როგორც აღინიშნა, თებერვალში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში აღსანიშნავი ოქროს ბეჭდის და ქალაქის შიგნით მგზავრობის გაძვირებაა, რამაც თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა. ამის საპირისპიროდ, იმერული ყველის და შოკოლადის გაიაფებამ თვის ინფლაცია დაახლოებით ამდენითვე შეამცირა.

წლიურ ჭრილში, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად კვლავ სურსათის გაძვირება აისახება. თებერვალში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 9.5%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.2 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს აქვს (0.9 პპ). ძროხის ხორცის, იმერული ყველის, კარცოფილისა და შოკოლადის გავლენა ინფლაციაზე ჯამში 1.1 პპ-ს შეადგენდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 5.9%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიანი ინფლაცია 0.5 პპ-ით გაიზარდა.


ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის გადასახდელი² მოქმედებდა (-0.12 პპ). ამავდროულად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარკვეული პროდუქტების ფასების წლიური შემცირება ინფლაციას ამცირებს.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

თებერვალში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.5% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას ყველაზე მეტად პურის, ხორცისა და ყველის ფასები განაპირობებს (ჯამში 3.8 პპ-ით). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია კი 6.2%-მდე გაიზარდა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი (1.2პპ) ოქროს გაძვირებამ შეიქმნა. ამის გარდა, ამ კატეგორიაში დიდი წვლილი ზეთზე, კარცოფილსა და შოკოლადზე (ჯამში 2.0 პპ) მოდიოდა. იმპორტირებული პროდუქტების ფასების წლიურმა დეფლაციამ 0.7% შეადგინა. იმპორტირებული პროდუქტების დეფლაციაზე ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიაფება მოქმედებდა.


¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

² ამ შემთხვევაში ინტერნეტის გაიაფება ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	თებ26/იან26		თებ26/თებ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.2%	0.2%	4.6%	4.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	-0.3%	-0.1%	9.5%	3.2%
სურსათი	30.8%	-0.4%	-0.1%	9.8%	2.9%
პური და პურპროდუქტები	6.3%	-0.5%	0.0%	13.8%	0.8%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.6%	0.0%	9.6%	0.6%
თევზი	0.5%	1.9%	0.0%	23.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-3.5%	-0.2%	5.3%	0.3%
ზეთი და ცხიმი	2.7%	-0.9%	0.0%	7.1%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	1.6%	0.0%	13.3%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	4.6%	0.2%	10.2%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	-3.2%	-0.1%	9.4%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.1%	0.0%	3.2%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	1.4%	0.0%	5.7%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	1.3%	0.1%	4.3%	0.3%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-1.2%	0.0%	-0.2%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.1%	0.0%	0.2%	0.0%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	-1.6%	-0.1%	-2.7%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	0.1%	0.0%	5.9%	0.5%
დრანსპორტი	11.4%	1.5%	0.2%	0.9%	0.1%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.1%	0.0%	-4.6%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	-0.1%	0.0%	-2.1%	-0.1%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.1%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.3%	0.0%	7.2%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	2.9%	0.2%	9.8%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	0.0%	0.0%	6.4%	3.8%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	-1.0%	-0.1%	-1.1%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	1.9%	0.1%	-0.9%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.7%	0.2%	3.1%	0.8%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


იანვარში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 8.0 მლრდ ლარით, 13.7%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 15.8%-ით) და 66.8 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 0.1 მლრდ ლარით შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 7.7 მლრდ ლარით (27.9%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 172.7 მლნ ლარით (0.5%-ით) გაიზარდა და 35.2 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 0.4 მლრდ ლარით (1.2%) მოიმატა, ხოლო წინა თვესთან შედარებით, 0.3 მლრდ ლარის (0.9%-ით) კლება დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში, მთლიანი დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 5.9%-ს გაუფოლდა. ეროვნული ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.6%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი, მცირედით, 0.04 პპ-ით, 1.8%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი შემცირდა, 0.1 პპ-ით და 10.7% შეადგინა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებმა 0.6 პპ-ით, 1.2%-მდე მოიკლო, რეზიდენტების დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.3 პპ-ით და 2.5%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკადი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაცია იანვარში 0.4 პპ-ით შემცირდა და 47.4% შეადგინა. იანვრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 61.4%-მდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაციამ 0.2 პპ-ით 36.8%-მდე მოიმატა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, იანვარში, წინა თვესთან შედარებით 1.2 პპ-ით, 56.0%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




იანვარში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.6 პპ-ით შემცირდა და წლიური მაჩვენებელი 13.35%-ს გაუტოლდა. აღნიშნული, ძირითადად, ეროვნული ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრიულში 1.0 პპ-ით შემცირდა და 14.8%-ს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 0.1 პპ-ით, 11.5%-მდე, შემცირდა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 8.3 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.0 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიტებამ შეიტანა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის წრიულში, დაკრედიტების ზრდის ტემპის კლება, მეტწილად, ბიზნესის დიპის სესხებით აიხსნება, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 6.0 პპ-ს შეადგენს.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.9 პპ-ით გაიზარდა და 13.8% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 8.9% შეადგინა, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით, 16.0%-მდე, გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაპალი)




საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)



იანვარში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 12.2%-მდე, გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთმა 0.2 პპ-ით მოიკლო და 9.2% შეადგინა. უცხოური ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი თითქმის უცვლელად შენარჩუნდა 7.8%-ზე.


იანვარში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.03 პპ-ით, 42.4%-მდე, შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით გაიზარდა და 65.2% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.1 პპ-ით შემცირდა და 22.7% შეადგინა. იანვარში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 132.9 მლნ ლარით გაიზარდა და 714.1 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 40.1% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული ღირებულება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან 17.4%-ით გაუმჯობესდა და -649.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 33.7%-ით შემცირდა, თუმცა, გასული წლის იანვრის ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით, 5.1%-ით³ შემცირდა და 1.1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ხოლო ექსპორტი 19.0%-ით გაიზარდა და 480.4 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კონტრიბუციამ იანვარში -5.7 პპ შეადგინა.

ადგილობრივი ექსპორტის ზრდა 2026 წლის იანვარშიც გაგრძელდა. კერძოდ, წლიურ ჭრილში 68.1%-ით გაიზარდა 312.8 მლნ აშშ დოლარამდე.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)



სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (იანვარი 2026)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - იანვარში საქონლის იმპორტზე კლების მიმართულებით ძირითადად სამომხმარებლო პროდუქტები მოქმედებდა, კერძოდ, გასული წლის იანვრის ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით, სამომხმარებლო საქონლის უარყოფითმა წვლილმა 8.4 პპ შეადგინა. საპირისპიროდ, გაზრდილია შუალედური საქონლის იმპორტი, რომლის წვლილმა ზრდაში 4.3 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლის შემცირებაში წამყვანი მსუბუქი ავტომობილები იყო -5.7 პპ წვლილით. ასევე შემცირებულია ნავთობპროდუქტების იმპორტიც. შუალედური მოხმარების საქონლიდან აღსანიშნავია ნედლი ნავთობის იმპორტის ზრდა. რაც შეეხება საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლებას, ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული.


³ 2025 წლის იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, იანვრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები შემცირების მიმართულებით მოქმედებდა, კერძოდ, წვლილმა -8.2 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილები განაპირობებდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 22.1%-დან 13.1%-მდე შემცირდა.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა აშშ-დან, ხოლო კლების მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთსა და თურქეთს ჰქონდა.

აშშ-დან შემცირებული იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

ჩინეთიდან იმპორტი ძირითადად გაზრდილია ელექტროგენერატორებისა და ნახევარგამტარების ხარჯზე.


თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯების ზრდა არმაცურასა და ელექტროენერჯიას უკავშირდებოდა.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად საავტო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 77.1% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, იანვარში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის აირების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა (-5.7 პპ).

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (იანვარი 2026)

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიურად ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შუალედური (14.2 პპ კონტრიბუციით) და სამომხმარებლო (6.5 პპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტის ზრდით. საპირისპიროდ, შემცირებულია საინვესტიციო საქონელი (-1.7 პპ კონტრიბუციით).


სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი. ასევე გაზრდილია ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, თხილისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განაგრძობდა შემცირებას, კერძოდ მისი წვლილი მთლიან ექსპორტში -7.3 პპ-ს შეადგენდა.

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი.

საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებასთან.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნის გზავის წილში, იანვრის შესაქონლო წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებულ საქონლს შემოსავლების პოზიტიურმა წვლილმა 6.0 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ნავთობპროდუქტების, თხილის, ფეროშენადნობებისა და სპილენძის მანქანების შესაქონლო ზრდას უკავშირდება.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საქსტატი შემოსავლები ძირითადად ჩინეთიდან და თურქეთიდან გაიზარდა. თუმცა შესაქონლო ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლების გამო.

ჩინეთში ძირითადად გაზრდილია ძვირფასი ლითონების მანქანების შესაქონლო, ხოლო თურქეთში - ნავთობპროდუქტების შესაქონლო.


იანვარში საქონლის შესაქონლო უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (21.0%-იანი წილი მთლიან შესაქონლო) ეჭირა. ძირითადი საქსტატი პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მანქანების, სპილენძის მანქანების, ფეროშენადნობებისა და თხილის შესაქონლოდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო გზავის მიხედვით შესაქონლო უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - იანვარში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 16.6%-ით, 282.6 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 10.2%-ით, 31.2 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (7.9 პპ) შეიძინა წლიური 17.5%-იანი ზრდით. 10.0%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.0 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი იანვარში 3.3 პპ-ს გაუცოლდა.


იანვარში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.4%), აშშ (18.4%) და რუსეთი (11.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (18.8%), გერმანიის (8.5%) და საბერძნეთის (7.9%) მაღალი წილი.

ქვეყნის წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (იანვარი 2026)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნის მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


იანვარში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6988-დან 2.6956-მდე (0.1%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1596-დან 3.1602-მდე მცირედით (0.02%) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6908 და 3.2088 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6982 იყო, მინიმალური კი - 2.6908.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური მნიშვნელობა მაქსიმალურთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტად იყო გადახრილი.


იანვარში საშუალოდ დოლართან მიმართებაში, როგორც თვის, ასევე წლის წრეში, გაუფასურდა თურქული ლირა, ხოლო სომხური დრამი გამყარდა. თვიურ დონეზე მცირე თანაბარი გამყარებით ხასიათდებოდა ევრო და ლარი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების⁴ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (იანვარი 2026; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 1.8%-ით გაუფასურდა, თვის წრეში კი 0.2%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), იანვარში წლიურად 1.0%-ით, თვის წრეში კი 0.2%-ით გამყარდა.


ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან იანვარში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, ბელარუსში, რუსეთსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე კერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.


⁴წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარცნიორი ქვეყნების ინფლაციები
(იანვარი 2026)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6⁵ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვითონ გაზრდილია, ხოლო წლიურად შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 253.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 248.6 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის იანვართან შედარებით კი - 167.1 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 34.5%-ით, წლიურად კი 4.3%-ით შემცირდა.

სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁶ გარიგებებით ხდებოდა (99.7%) და მთლიანმა ვაჭრობამ 2,888.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 268.9 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 1,699.2 მლნ აშშ დოლარით - შემცირებული. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.0% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 86.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁵ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁶ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



* ანგარიშსწორების თარიღით

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე წლიურ დონეზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება, ხოლო თვის წრილში - შემცირებული. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 117.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 941.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,462.4 მლნ აშშ დოლარით შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 151.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 757.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,425.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

იანვარში სავალუტო ფორვარდ⁷ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 176.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრილში - 20.6 მლნ აშშ დოლარით) და 9.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 9.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 140.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 6.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შექმნა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

⁷ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

იანვარში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 320.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. იანვარში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 70, 70, 40, 50 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 113.4 მლნ ლარით შემცირდა და 11,218.1 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 71.6%-ს კომერციული ბანკების, 10.1%-ს ეროვნული ბანკის, 14.4%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.9%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


იანვარში სადებოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 6 თვიანზე გაზარდა, ხოლო 1 წლიანზე შემცირდა. სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები კი მეტწილად შემცირდა. კერძოდ, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 8.0%-მდე, შემცირდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.07 პპ-ით გაიზარდა და 8.1% შეადგინა, ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.07 პპ-ით შემცირდა და 8.1% შეადგინა. 3 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.04 პპ-ით, 9.0%-მდე გაიზარდა. 5 და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.2 - 0.2 პპ-ით 9.1% და 9.7%-მდე შემცირდა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 2,956.2 მლნ ლარით (წლიურად 2,032.3 მლნ ლარით) 17,652.0 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსის შემცირებით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (85.6%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 2,370.4 მლნ ლარით (13.6%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 585.8 მლნ ლარით (18.8%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში გაიზარდა 0.2 პპ-ით და 7.7% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.01 პპ-ით შემცირდა, 1.5%-მდე.

აღსანიშნავია, რომ იანვარში ფულადი ბაზრის რესურსის 35.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 64.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგაჟები


იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 590.0 მლნ ლარით (6.4%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.6 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 66.7 მლნ ლარით (0.8%-ით) გაიზარდა.

იანვარში, სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 86.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 11.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 75.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

იანვარში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 800.1 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,273.0 მლნ ლარს გაუცოლდა.


სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება

კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 518.4 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 1,760.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 430.0 მლნ ლარით გაიზარდა. იანვარში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერციფიკატები და განხორციელდა იმავე მოცულობით განთავსება. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, იანვარში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,330.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 4,770.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


იანვარში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 1.3 მლრდ ლარით შემცირდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისმა მოცულობამ 1.0 მლრდ ლარით მოიკლო.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

